



№1-25/27

1/11/2023

**რეცენზია კლინიკურ გზამკვლევზე მოზრდილებში ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის
გართულებების: ნეფროპათიის, რეტინოპათიის და დიაბეტური ტერფის გამოვლენა,
დიაგნოსტიკა და მართვა პირველად ჯანდაცვაში**

“საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირს” რეცენზირებისთვის წარედგინა კლინიკური გზამკვლევი „მოზრდილებში ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის გართულებების: ნეფროპათიის, რეტინოპათიის და დიაბეტური ტერფის გამოვლენა, დიაგნოსტიკა და მართვა პირველად ჯანდაცვაში“. კლინიკური გზამკვლევი შემუშავებულია საქართველოში ჩეხეთის კარიტასის პროექტის „პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების ხელშეწყობა“ ფარგლებში.

გზამკვლევის შემუშავებისას გამოყენებულია საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციების უახლესი წყაროები აღნიშნული პრობლემების მართვაზე, როგორცაა ამერიკის დიაბეტის ასოციაციის 2023 წლის „დიაბეტის მართვის სტანდარტები“, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, გაერთიანებული სამეფოს, UpToDate-ს რეკომენდაციები, ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის აღნიშნული გართულებების მართვის თაობაზე, ასევე, ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მართვის განახლებული, 2023 წლის ეროვნული პროტოკოლი.

თირკმელების დიაბეტური დაავადება, რეტინოპათია და ტერფის პრობლემები დიაბეტის ხშირი და გავრცელებული გართულებებია. ადრეული გამოვლენა და ჩარევა გადამწყვეტია ამ მდგომარეობის პროგრესირების თავიდან ასაცილებლად, ხოლო სათანადო ცოდნითა და უნარებით აღჭურვილ ოჯახის ექიმებს შეუძლიათ ამ პრობლემების ადრეულ სტადიაზე გამოვლენა და მართვა.

ოჯახის ექიმები და პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალები ხშირად სამედიცინო სისტემასთან პაციენტის პირველი კონტაქტის ადგილია, რის გამოც მათი როლი ჯანმრთელობის სხვადასხვა მდგომარეობის ადრეულ გამოვლენასა და მართვაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ეს განსაკუთრებით ხაზგასასმელია ტიპი 2 დიაბეტის შემთხვევაში, როდესაც პაციენტმა ხშირად არც იცის საკუთარი დაავადების შესახებ და დიაგნოსტიკა სკრინინგული გამოკვლევის დროს ხდება.

როდესაც ისეთი პრობლემების მკურნალობა, როგორცაა თირკმელების დაავადება, რეტინოპათია ან ტერფის პრობლემები, ადრეულ ეტაპზე ხორციელდება ოჯახის ექიმების მიერ, აღნიშნულით შესაძლებელია თავიდან იქნას აცილებული სპეციალიზებული და ძვირადღირებული მკურნალობის საჭიროება მომავალში. ადრეულ ჩარევას შეუძლია პოტენციურად შეამციროს ეკონომიკური ტვირთი როგორც პაციენტებზე, ასევე ჯანდაცვის სისტემაზე.

პირველადი ჯანდაცვის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს ზრუნვის უწყვეტობას, ოჯახის ექიმებს საშუალება აქვთ, რეგულარულად მიაწოდონ პაციენტს საგანმანათლებლო ინფორმაცია, აღმოუჩინონ დახმარება ქვევის მართვაში და განახორციელონ რეგულარული მეთვალყურეობა პაციენტის მდგომარეობაზე. შესაბამისად, იმის აღბათობა, რომ პაციენტმა უკეთ დაიცვას მკურნალობის გეგმა და ცხოვრების სტილის ცვლილებებთან დაკავშირებული

რეკომენდაციები, უფრო მაღალია, როდესაც ის თანმიმდევრულ მხარდაჭერას და ხელმძღვანელობას იღებს პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალისგან.

დიაბეტის მოცემული გართულებების მართვის უახლეს მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული გზამკვლევის არსებობა ოჯახის ექიმებისთვის საშუალებას იძლევა, მეტად მოქნილი და ეფექტური განადოს რეფერალის სისტემა. კერძოდ, ოჯახის ექიმი უფრო გამყარებული იქნება საკუთარ გადაწყვეტილებაში, როდის სჭირდება პაციენტს სპეციალიზებული მოვლა და მიმართვა შესაბამის სპეციალიზებულ სერვისში, რაც უზრუნველყოფს მჭიდრო თანამშრომლობას ჯანდაცვის სხვადასხვა დონეებს შორის და ზრუნვის გაუმჯობესებულ კოორდინაციას.

ზოგადად, ოჯახის ექიმების მომზადება თირკმელების დიაბეტური დაავადების, დიაბეტური რეტინოპათიის და ტერფის პრობლემების სამართავად, აუცილებელია დიაბეტით დაავადებულ პაციენტებზე ზრუნვის ხარისხის გასაუმჯობესებლად, გართულებების შესამცირებლად და საბოლოო ჯამში, დიაბეტით დაავადებული ადამიანების ჯანმრთელობის გამოსავლების გასაუმჯობესებლად, ეს საკითხები დეტალურადაა განხილული წარმოდგენილ გზამკვლევაში და მკაფიოდ არის განსაზღვრული კომპეტენციის ჩარჩოები პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის,

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი კლინიკური გზამკვლევი „მოზრდილებში ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის გართულებების: ნეფროპათიის, რეტინოპათიის და დიაბეტური ტერფის გამოვლენა, დიაგნოსტიკა და მართვა პირველად ჯანდაცვაში“, წარმოადგენს კარგად მომზადებულ სახელმძღვანელო დოკუმენტს პირველადი ჯანდაცვის ექიმებისთვის, რომელშიც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, თანამედროვე მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციები, ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის აღნიშნული გართულებების მართვის თაობაზე და მათი დროული დანერგვა ხელს შეუწყობს პირველადი ჯანდაცვის დონეზე ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მართვის ხარისხის გაუმჯობესებას, გართულებების პრევენციას, ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა დონეებზე დიაბეტის აღნიშნული გართულებების მქონე პაციენტთა მოძრაობის გაიოლებას და კლინიკური მართვის პროცესების სათანადო ორგანიზებას. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, რეკომენდაციას ვუწევთ კლინიკური გზამკვლევის დამტკიცებას წარმოდგენილი ფორმით

ირინა ქაროსანიძე

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა

კავშირის პრეზიდენტი